



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასა

ასა (სათავეში არხოტისწყალი), მდინარე საქართველოში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), ჩეჩნეთსა და ინგუშეთში. სუნჯის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 133 კმ, აუზის ფართ. 2060 კმ². სათავე აქვს პირიქითა ხევსურეთში, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. კალთაზე. გემო დინებაში მთის მდინარეა, ქვემოთ – ბარისა. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზამთარში.

ი. აფხაზავა
